სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 ნოემბერი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/163

პროფესორ ელგუჯა მექვაბიშვილისათვის ბსუ-ს საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 პუნქტის, წესდების 62–ე მუხლის, ,,შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების დებულების“ (აკადემიური საბჭოს ოქმი N18, 17.04.2007 წ.), ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერისა (№ 21-05/12, 30.10.2025) და ამავე ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 4 25 0001608926, 13.11.2025) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ელგუჯა მექვაბიშვილს მიენიჭოს ბსუ-ს საპატიო დოქტორის წოდება.**
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. დადგენილება დაეგზავნოს პროფესორ ელგუჯა მექვაბიშვილს, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, რექტორის აპარატს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.
4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე აროშიძე**